ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6383127

ნომერი: AR1954793

თარიღი : 14.03.2023

გაცემის თარიღი : 24.03.2023

გაცნობის თარიღი : 24.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი , (ნაკვეთი 003/001) ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი 03/006);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ფირფილაშვილი პ/ნ 01025012685
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 5 ბ. 83

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 14

მარტს №AR1954793 განცხადებით მომართა ლაშა ფირფილაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებით №01.10.06.001.285 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 21 თებერვლის №6336265 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 თებერვლიდან 2025 წლის 21 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 13 მარტის №6363651 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდა 406.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 967.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 112.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 2202.7 კვ.მ., საერთო ფართობად: 7415.9 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR1951547 განცხადებაზე წარმოდგენილი ფაილის მიმაგრების ველით არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ +6.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ოფისი №1-ის საერთო ფართობი 37.4 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 36.4 კვ.მ-ს, ხოლო, +9.200 და +12.400 ნიშნულების გეგმებზე №5 და №15 ბინების საერთო ფართობი 60.3 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 60.2 კვ.მ. ამასთან, უთითებს, რომ მხოლოდ მითითებულ გეგმებზე გასწორდა ჯამური ფართობები რაც არ იწვევს ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებას.
სამსახურმა წარმოდგენილი +6.00, +9.200 და +12.400 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები შეადარა, შეთანხმებულ ამავე ნიშნულების არქიტექტურულ გეგმებს და დაადგინა, წარმოდგენილ +6.00 ნიშნულის გეგმაზე შესწორდა ოფისი №1-ის საერთო ფართობი. ხოლო, +9.200 და +12.400 ნიშნულებზე შესწორდა მხოლოდ №5 და №15 ბინების საერთო ფართობები. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში დაფიქსირებული საოფისე, საცხოვრებელი და საერთო ფართობების გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +6.00, +9.200 და +12.400 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები (სამსახურის 2023 წლის 13 მარტის №6363651 ბრძანებით ჩანაცვლებული არქიტექტურული გეგმების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6312662 და სამსახურის 2023 წლის 13 მარტის №6363651 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.